

## ხშირად დასმული კითხვები

<b>საკითხები:</b>	კონკურსი
	სამეცნიერო მიმართულება
	პროექტი
	ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი
	გეგმა-გრაფიკი
	ბიუჯეტი
	პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

### კონკურსი

1. წელიწადში რამდენჯერ ცხადდება სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსი?

**პასუხი:** კონკურსი ცხადდება წელიწადში ერთხელ.

2. როგორ დგინდება გამარჯვებული პროექტების რაოდენობა?

**პასუხი:** პროექტების შეფასების საფუძველზე დგება ერთიანი რანჟირებული სია. სიიდან დაფინანსდება მხოლოდ ის საუკეთესო პროექტები, რომელთა სრულად დაფინანსების საშუალებასაც იძლევა კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

3. შეიძლება თუ არა, კონკურსში მონაწილეობა მივიღო, თუ ვარ მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტი?

**პასუხი:** არა, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ მაგისტრატურის დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა სემესტრის სტუდენტებს.

4. როდის ივსება განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ?

**პასუხი:** განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 10) მაგისტრანტმა უნდა შეავსოს პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის შემდეგ, მითითოს მინიჭებული სარეგისტრაციო შიფრი, და შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით დადასტურებული წარმოადგინოს ფონდის კანცელარიაში 2017 წლის 27 ოქტომბრის 17:00 საათამდე, კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-9 ქვეპუნქტის შესაბამისად.

### სამეცნიერო მიმართულება

5. რა დარგებს მოიცავს საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები?

**პასუხი:** საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები მოიცავს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორში (დანართი #12) შემავალ 1-6 მიმართულებებს.

6. თუ პროექტი ინტერდისციპლინარულია და რამდენიმე ქვემიმართულებას მოიცავს, როგორ უნდა მივუთითოთ იგი საპროექტო წინადადებაში?

**პასუხი:** ინტერდისციპლინარული პროექტის შემთხვევაში, მაგისტრანტს შეუძლია საპროექტო წინადადებაში მიუთითოს მაქსიმუმ სამი ქვემიმართულება. აუცილებელია, პირველ ადგილზე დასახელდეს ის ძირითადი ქვემიმართულება, რომელსაც თავად ანიჭებს უპირატესობას, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე დასახელდეს დამატებითი ქვემიმართულებები, კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 ქვეპუნქტის შესაბამისად.

7. დაფინანსება პროცენტულად როგორ არის გადანაწილებული სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით?

**პასუხი:** კონკურსის საერთო ბიუჯეტის მაქსიმუმ 15% განსაზღვრულია „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ მიმართულებაში დარეგისტრირებული გამარჯვებული პროექტებისათვის. საერთო ბიუჯეტის დარჩენილი 85% თანაბრად ნაწილდება სხვა დანარჩენ მიმართულებებზე.

## პროექტი

8. უნდა იყოს, თუ არა პროექტის სათაური და სადიპლომო თემის სათაური იდენტური?

**პასუხი:** არა, არ არის აუცილებელი სათაური იყოს იდენტური, მაგრამ კვლევის თემატიკა უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

9. შესაძლებელია თუ არა, საზღვარგარეთ მივლინება სამაგისტრო პროექტის ფარგლებში?

**პასუხი:** დიახ, გრანტის სახსრებით შესაძლებელია საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებამდე და/ან კვლევითი ვიზიტის განხორციელება, კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

10. შეიძლება თუ არა, უნივერსიტეტის ლაბორატორიით სარგებლობა?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია პროექტით გათვალისწინებული კვლევისათვის გამოყენებული იყოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ლაბორატორია) უსასყიდლოდ.

11. არის თუ არა საჭირო, Excel -ის დოკუმენტის გადაყვანა PDF ფორმატში?

**პასუხი:** დიახ, პროექტის ბიუჯეტი და გეგმა-გრანფიკი, რომელიც ივსება Excel-ის დოკუმენტში არსებულ ორი გვერდზე, უნდა იქნას გადაყვანილი PDF ფორმატში, პროექტის მომზადებისა და კონკურსზე რეგისტრირების ინსტრუქციის შესაბამისად. ყურადღება მიაქციეთ, რომ კონკურსზე წარმოადგინოთ ორივე გვერდი და ტექსტები კითხვადი იყოს.

## ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი

12. შეიძლება თუ არა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ფონდის სხვა კონკურსის გრანტიორი?

**პასუხი:** დიახ, შეიძლება, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ფონდის მიერ დაფინანსებული სხვა პროექტის პერსონალი.

**13. შეიძლება თუ არა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს დოქტორანტი?**

**პასუხი:** არა, სავალდებულოა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

**14. როგორ უნდა მივითითოთ ხელმძღვანელის CV-ში უცხოენოვან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების სათაურები, ქართულად თუ ორიგინალის ენაზე?**

**პასუხი:** უცხოენოვან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია ფონდში წარმოდგენილ ყველა სახის CV-ში წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ენაზე (ქართული თარგმანის გარეშე) ან ინგლისურად და ფრჩხილებში მითითებული უნდა იყოს ორიგინალის ენა.

**15. სავალდებულოა თუ არა, პროექტში ჩართული იყოს კონსულტანტი?**

**პასუხი:** არა, სავალდებულო არ არის. მულტიდისციპლინური პროექტის შემთხვევაში სასურველია ჩართული იყოს კონსულტანტი, რომელს კვალიფიკაცია შეესაბამება კვლევის თემატიკას.

**16. თუ პროექტი მულტიდისციპლინარულია, შეგვიძლია თუ არა მასში ჩავრთოთ მომიჯნავე სპეციალობის კონსულტანტი?**

**პასუხი:** დიახ, თუ პროექტი მულტიდისციპლინარულია, პროექტში შესაძლებელია ჩართული იყოს კონსულტანტი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროექტში აღწერილ კვლევის სფეროს, კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად.

**17. იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელი ან კონსულტანტი უცხოელია, როგორ უნდა წარმოვადგინოთ მისი დოკუმენტები?**

**პასუხი:** ამ შემთხვევაში უცხოელი მეცნიერის CV და თანხმობის წერილი უნდა წარმოადგინოთ ინგლისურად, დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად. ასევე უნდა წარმოადგინოთ ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი.

**18. უნდა ითარგმნოს თუ არა ხელმძღვანელის რუსულენოვანი დიპლომი, რომელიც გაცემულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ 90-იან წლებამდე?**

**პასუხი:** არა, ასეთ დოკუმენტს ქართულად თარგმნა არ ესაჭიროება.

## გეგმა-გრაფიკი

**19. როდის უნდა დავიწყოთ პროექტის განხორციელება?**

**პასუხი:** პროექტის დაწყება შეგიძლიათ 2018 წლის 1 იანვრიდან.

**20. შეიძლება თუ არა, პროექტი დავიწყოთ მარტში თუ ჩემი პროექტის ხანგრძლივობაა 4 თვე?**

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ - 4 თვე და უნდა განხორციელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით დროის შუალედში.

## ბიუჯეტი

21. არის თუ არა რაიმე შეზღუდვა დაწესებული თანადაფინანსების თანხის ოდენობაზე?

**პასუხი:** არა, თანადაფინანსების თანხის ოდენობაზე შეზღუდვა არ არის დაწესებული კონკურსის პირობებში.

22. შემიძლია თუ არა, მოვითხოვო 1200 ლარის სტიპენდია, თუ ჩემი პროექტის ბიუჯეტი 6000 ლარზე ნაკლებია?

**პასუხი:** დიახ, შეგიძლიათ. სტიპენდიის ოდენობა არ არის დამოკიდებული მთლიან ბიუჯეტზე.

23. შეიძლება თუ არა, წიგნების და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების ელექტრონულად გამოწერა?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია როგორც მათი გამოწერა ასევე განბაჟების ხარჯების დაფარვა.

24. აანაზღაურებს თუ არა გრანტი განბაჟების თანხას?

**პასუხი:** გრანტის მიმღები თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან (აღნიშნულ საკითხთან კონსულტაცია გაიარეთ შემოსავლების სამსახურში).

25. არის თუ არა საჭირო, ბიუჯეტში კონკრეტულად მივუთითო თუ რა დანადგარის/ლიტერატურის ყიდვას ვაპირებთ?

**პასუხი:** ლიტერატურის შემთხვევაში წიგნის ან ჟურნალის სათაურის მითითება არ არის საჭირო, რაც შეეხება დანადგარს, საჭიროა კონკრეტული დასახელების მითითება და არა მოდელის.

26. თუ ვალუტის კურსი შეიცვლება და ბიუჯეტში გაწერილი ლიტერატურის ან დანადგარის შეძენის თანხა არ აღმოჩნდება საკმარისი, როგორ მოვიქცეთ?

**პასუხი:** ბიუჯეტის მუხლებში გათვალისწინებულ თანხებზე მეტს გრანტის ფარგლებში ვერ დახარჯავთ, შეგიძლიათ დაამატოთ საკუთარი სახსრებიდან.

27. როგორ მივუთითო ბიუჯეტში შესაძენი ნივთის (ტექნიკა) დასახელება, რომელსაც რამდენიმე სახელწოდება აქვს?

**პასუხი:** მიუთითეთ ზოგადი დასახელება და არა მოდელის სახელი. პროექტის დასრულების შემდეგ, შესყიდული ნივთის სახელი უნდა გამოჩნდეს თქვენს მიერ წარმოდგენილ ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში.

28. არის თუ არა საჭირო, კონკრეტულად მივუთითო რომელ სამეცნიერო ღონისძიებაში ვაპირებ მონაწილეობას?

**პასუხი:** არა, ამის დაზუსტება საჭიროებას არ წარმოადგენს. მაგრამ ღონისძიების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს თქვენი კვლევის თემას.

29. შეიძლება თუ არა, ბიუჯეტში გავითვალისწინო პრეზენტაციის ხარჯები და რომელ მუხლში უნდა ავსახო?

**პასუხი:** დიახ, პრეზენტაციის ხარჯის გათვალისწინება შესაძლებელია ბიუჯეტის მერვე მუხლში (სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და შესაბამისი შედეგების პრეზენტაციასთან).

**30. ბიუჯეტის რომელ მუხლში უნდა ავსახო კომპიუტერული მომსახურების ხარჯი?**

**პასუხი:** აღნიშნული ხარჯი გაითვალისწინეთ ბიუჯეტის მერვე მუხლში (სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და შესაბამისი შედეგების პრეზენტაციასთან).

**31. ექსპედიციაში საკუთარი მანქანის გამოყენების შემთხვევაში, რა ტიპის დოკუმენტი მჭირდება იმისათვის, რომ საწვავის ხარჯი ამინაზღაურდეს?**

**პასუხი:** საწვავის ხარჯის შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება სასაქონლო ზედნადები ან შესაბამისი ხელშეკრულება მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.

**32. შემიძლია თუ არა პროექტში მყავდეს ორი დამხმარე პერსონალი?**

**პასუხი:** არა, პროექტში შესაძლებელია ჩართული იყოს მხოლოდ ერთი დამხმარე პერსონალი, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 10%-ს.

**33. შეიძლება თუ არა, გრანტის თანხით შევიძინო ფოტოაპარატი და დიქტოფონი?**

**პასუხი:** დიახ შეიძლება.

### პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

**34. შესაძლოა თუ არა, შესყიდვა განვახორციელოთ არა იურიდიული პირისგან, არამედ ონლაინ რეჟიმში?**

**პასუხი:** დიახ, ონლაინ რეჟიმში შესყიდვა (გამოწერა) შესაძლებელია.

**35. როგორ მოვიქცეთ, თუ პროექტის დასრულებისას აღმოჩნდა, რომ დასახული შედეგი არ იქნა მიღწეული?**

**პასუხი:** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მაგისტრანტი ვერ წარმოადგენს აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს, ის ვალდებულია, წარმოადგინოს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები პროექტის განხორციელების პროგრამული ანგარიშთან ერთად, კონკურსის პირობების მე-9 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის შესაბამისად.

**36. პროექტის დასრულების შემდგომ, ვის საკუთრებაში რჩება გრანტის სახსრებით შექმნილი ქონება?**

**პასუხი:** პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შექმნილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებს.